# № ნიანგი 24

1930



კულაკი. წელს როგორც ეტყობა, მე ველარ მოვახერხებ საბჭოში გაძვრომას, შენს რჩევას კი როგორმე მოვახერხებთ. აბა შენ იცი, როგორც ეცდები ჩემი ინტერესების დაცვას, თუ არა და დღესვე ამოყავე ჩემი ვალი!

აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

# შოლტიანის მოწოდება

მართალია
გადავაგდეთ
ბრძანებების
დიდი წიგნი,
მაგრამ ზოგჯერ
მაინც კიდევ
მინდა ვბრძანო
„შოლტის'' წიგნით.
მინდა ყოველ
მშრომელ გლეხკაცს,
ყოველ გამრჯე
კოლმეურნეს:
მოვუწოდო—
რომ უმატონ
საგზალი და
ტვირთი ურმებს;
რომ უმატონ
თესვას, ფარცხვას
და დაუდგან
ზვინი ხორბალს,
რადგან მტერი
ისეც ცდილობს
ხელი სტაცოს
ქვეყნის ბორბალს...

— : —

ალბათ იცით
ოქტომბერმა
როცა ჩვენში
გაიმარჯვა,
ასპარეზი მისცა
ყველას
ვისაც უყვარს
შრომა-გარჯა.
გზა გაუხსნა
ყველა მცოდნეს,
ადგილები მისცა
სპეცებს...
(რა თქმა უნდა,
მათაც მსუქან
სავარძლებზე
მოიკეცეს)!
თუმცა ზოგმა
პატიოსნად
და გულდაგულ
იწყო შრომა,
ზოგმა კიდევ
ვერაგულად
იწყო ჩვენგან
გადადგომა...
ხელი მისცა
ყველას, ვისაც
მძლავრად დასცხო
ოქტომბერმა.
და შავ-ბნელი
მუშაობა
გააჩაღა ჩუმად
მტერმა...
ჩვენ მათ საქმე
დავაკისრეთ,
მშენებლობა
დიდი ვანდეთ.
მათი გეგმით
ვინ ჩამოსთვლის
რა თანხები
დავაბანდეთ!
ისინი კი
თურმე ჩვენთვის
ამზადებდენ
ყველგან ღალატს,
რომ დაეცა
ჩვენთვის ზურგში
შხამიანი
დანა ჯალათს!
ალბად სადმე
გაგიგიათ
პუანკარე
დეტერდინგი.
ერთი ძაღლი
ცოფიანი
და მეორე
ღორის დინგი...
თურმე სპეცებს—
ამ ვერაგებს
ანგარიში მათთან
ქონდათ
და საბჭოთა
კავშირიდან
იქ ამბები
გადაჰქონდათ.
ოქროებზე
გვყიდდენ ჩუმად
ხორციანად,
მისხალ-მისხლით,
რომ მოერწყოთ
ეს ველები
მუშისა და
გლეხის სისხლით;
რომ ძველი დრო
აღედგინათ
თავის წყლულის
დაშუშებით.
აი ასე
აფეთქებას
გვიპირებდენ
ჯაშუშები!
მაგრამ ბოლოს
ანგარიშში
წაუციდათ
საქმე ცუდათ
და საჩვენოდ
მოქნეული
ხმალი მათვე
მიუბრუნდათ...
ეხლა ერთად
პროლეტარულ
სამსჯავროს წინ
სხედან შიშით—
და ვერაგებს
ღირსეულად
ჩაბარდებათ
ანგარიში...

— : —

და მე ვბრძანებ:
მოუმატეთ
ნახნავ-ნათესს
გუთნებს, ურმებს!
ეს ბრძანება
შეეხება
ცალკე გლეხს
და კოლმეურნეს.
ჩვენც ვეცადოთ
უფრო მეტად
რახან მტერი
ასე ცდილობს,
რომ ახალი
მიღწევებით
რაც ნაკლი გვაქვ'
დაიჩრდილოს.
რომ საერთო
შრომით—თავზე
ზარი დავსცეთ
ყველა ურჩებს
და ჩვენს რისხვას
საზიზღარი
მტერი ვერსად
გადაურჩეს!

შოლტიანი.

# კრებაზე



— უკან რატომ დაჯექი, წინ უკეთესი არაა?!
— აქედან უკეთ სჩანს უმრავლესობა რას მისცემს ხმას, ორპირობას ველარ გამიგებენ'

## სამომხმარებლო კოოპერატივი
### ს. დარჩელი

გამგეობის თავმჯდომარედ
არის ჩვენში მიხა,
ჩვენ სოფელში ის არ სტოვებს
ღვინოს თუნდ ერთ მისხალს.
ყანწებით და ბოთლებით
ყლაპავს სვირულს ტიალს,
შემდეგ ბაზრის შუა ადგილზე
მართავს უშნო ღრიალს.
სანადიროთ იგი ქალზე
ლამლამობით დადის,
ეპოს მიმართ მაგას შოლტო
მაინც არა აქვს დარდი.
შაქარს, ფართალს ის მალულად
აძლევს ლამაზ ქალებს,
თუ გლეხებმა რამე უთხრეს
აცეცხლებს თვალებს.

ნახვამდი.

## ჩვენი თავმჯდომარე
### კოკი

ალმასკომის თავმჯდომარედ
არის ჩვენში კოლია,
ღვინის სმაში მოქეიფე
შოლტო, არ ყავს ტოლია.
სოფლის საქმის შესრულება
მაგას ფეხზე კიდია,
ღვინის სმაში და ქალებში
ასე ...ინი მიდიან.
ქელეხში და სატირალში
ძაან მარჯვეი ბიჭია,
საქმეში კი აი დღემდის
არ გადუდგამს ბიჯია.
ამა საქმეს შოლტო, ეხლა
უნდა დროზე შველა,
თორემ ჩვენი სოფლის საქმე
დაიღუპა ყველა.

კაცი.

# მრუდე სარკეში

— ეგ რაა, შოლტიანო, რაში იყურები?

— ა? შენა ხარ, ტარზან? ვერა ხედავ მრუდე სარკეში... ეს ჩემი გამოგონება ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებით...

— მერე და, მე კაი კაცო სწორე სარკე ვიღარ ნახე, რომ მრუდეში არ გაიფუჭო თვალები?! ხა! ხა!

— არა, სარკე სწორეა, მაგრამ მე მიჭირავს ასე ქეშად, რათა ვინ რას აკეთებს ვნახო და ჩავახედო ისინი, ვისაც ეს შეეხება.... ყველაფერი ჩანს..

— მაგალითად? აბა?!

— რას ხედავ?

— ჰმ!.. რასა, და... ა? ბიჭოს, ეს რა კარგი რამეა, ი! კვალითის არ ტელი? რაო? აქ შეპარული ყოფილი ვაჭარი სოლიკო ბოცხრიკიძე რას ამბობს? მოსავალს რომ შევინახავთ, არტელიდანაც გამოვალო? ა? ჩემისთანა ჰკვიან კაცს ძნელად თუ იპოვითო? მე რომ კოლექტივში არ შევსულიყავ, დამბეგრავდენ და ყველაფერს წამართმევდნენო?! ჰე-ტა-ტა! მალადეც!..

— აბა, ახლა ასე გახედე...

— ჰმ! ეს ხომ გომის ოქრიდიანი მილიც მარჯვენიე იხრება ქარის მიწოლის დროს ტირიფივით?! პურის დამზადების წინააღმდეგ წავიდენ?! ა? კოოპერატივში მერე ფასებია და პური კერძო ბაზარზე გაიყიდოსო?! სიხმ: „ხუთწლედი ოთხ წელში“ აქ არ გვინდა, ქალაქის მუშებში გაავრცელეთო?! კომუჯრედი საბჭოს არ ეხმარება? ა? ქვენატკოლის კომუჯრედის მდივანი გიგუტა მესხი გლეხებს მოუწოდებს არ ჩააბარონ პური სახელმწიფოს და არ შეიძინონ სესხის ობლიგაციებიო?

— აბა ახლა ასე გაუჭვრიტინე!

— ჰა? ღვანკითში კულაკი კოწია ტრაპაიძე იჭიმება?

— კარგად დააცქერდი... ეგ კაცი, უხეირო ხელმძღვანელების წყალობით დაბეგვრას გადარჩა!..

— რა აქვს? 2 ნახ. ქცევა ვენახი, 30 საპალნე ღვინო მოსდის, საპალნეს ყიდის 220 მანეთად, 4 ქცევა საყანე მიწა? 9 ჩამოერთვა ღვანკითში? 18 საზანოში? ზისტაფონში 2 სახლი ჰქონდა? მოჯამაგირედ ყავს ობოლი ბიჭიკო ხუსკივაძე, რომელსაც სამპირად ატყავებს. ა? ერთ განცხადების დაწერაში გლეხებს თითო დღეს ამუშავებს?! მისი ცოლი ექიმბაშობს და დაჟანგულ გაზით ულებს კბილებს ავადმყოფ გლეხებს?! აი მუსმის ტრაპაიძე! რა მოხერხებული კაცი ყოფილა!

— აბა, აქეთ...

— ჰა, ეს რა ცეცხლი ჩანს?! ამბროლაურის არტელს კოლაკები ზედიზედ ესხმიან?! ძნებს უწვავენ?! მერე და ასე აშკარად? შეხე, როგორ დასცინიან კიდეც?!

— ეგ იმიტომ რომ მილიცია ყურადღებას არ აქცევს... ამას ამტკიცებს ის, რომ მათ გაანთავისუფლეს ურალის არტელის თავმჯდომარეზე თავდამსხმელები...

— აბა, ახლა აქეთ გაიხედე...

— რა, ტობანიერის კოოპერაციის გამგე და ნოქრები ნაცნობებს ურიგებენ საქონელს?! ეს ხომ ჩვეულებრივი საქმეა!... მაგრამ ის წინანდალის ფოსტის გამგე რაღა ოცემ ხილებს ყურებზე?!

— ეგ ალბათ „კოლექტივიზაციაში“ მოთავსებულ წერილის საპასუხოდ, სადაც ეწერა: გაზეთების და წერილების დასარიგებლად ყურსაც არ იბარტყუნებსო და ამით ალბათ უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია ბარტყუნი...

— კი, მარა, იქით რაღად მიაბრუნე სარკე?!

— ჩემოფა... თვალები გამიფუჭდება... დაე, ახლა იმან ჩაიხედოს, ვისაც ყოველივე აქ ნახულის გამოსწორება შეეხება!..

ვიცოვიცაა.

# მეეტლის ბრალია

მეშარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტები ქუჩაში ყურმოკრულ ლაყბობაზე და ჭორებზე აგებენ თავის შეხედულებებს.

გაზეთებიდან



მეეტლე. ხუთი მანეთი მერგება.

ოპორტუნისტი. რა ამბავია, ასე ე… ირად მეტი!

მეეტლე. რა ამბავია და, ქერი ერთი … დაძვირდა.

ოპორტუნისტი. (თავისთვის) ვეუბნები—სოფლის მეურნეობა ქვე… მეთქი და არა სჯერათ?!

# მართალია. მართალი!

მერე რა გინდათ? ყველაფერი—რასაც ამბობთ მართალია!

მართალია მაგალითად ის, რომ ამ ნახევარი წლის წინეთ კულაშის შვიდწლედის გამგეობიდან მომხსნეს უწესო ყოფა-ქცევისთვის. მერე რა არის? მე აკი ჩემს მეგობრებთან მაშინვე დავიკვეხე, — ბიჭი არ ვიყო თუ ჩემს თანამდებობას ვერ დავუბრუნდე მეთქი...

თქვენ ეჭვი გეპარებათ ამხ. ჩხაიძეზე, ვითომ მან გამიწია მფარველობა? მერე და რა არის? ამხ. ჩხაიძე ჩემი მეგობარია და თავის ამხანაგური მოვალეობა მოიხადა ჩემს წინაშე. დღეს მე ისევ წამოვსკუპდი ჩემს ძველ თანამდებობაზე.

წავიდეს ახლა განათლების განყოფილებამ და უყაროს კაკალი!

ვნახოთ რას გაიტანს!

ქაქუჩი.

# ნეძვი-ზანავი

იქ სადაც მთებს ჭიდილი აქვთ,
სადაც მტკვარი სტყორცნის ტალღებს
მდებარეობს ზანავი და
სკოლა არ აქვთ შოლტია ბალღებს.
მართალია, სკოლისათვის
გამოძებნეს რაღაც ბინა,
მაგრამ ნეტა შეგახედა
შოლტიანო, კლასის შინა,
ერთმანეთზე შესკუპულან,
პატარაა ძალზე იგი,
უფანჯრობით ჩაწოლილა
გინდ დღეც ი… ს—შავი ბინდი.
ამის გამო ბევრი დარჩა
გულმოკლული სკოლის გარეთ,
არაფერი გამოვიდა,
თუმც ცრემლებით ოხრად ვღვარეთ
ნეძვის ამბავს ნუღარ მკითხავთ
აქაც საქმე არის „ეგეროდ“,
ოთხწლედ სკოლას რომ შეხედო,
არ გეყოფა სასაცილოდ.

ახალდაბეული.

# სვირი.

გაიცანით, ბაგრატ დიდო,
ანანოვის მოურავი.
გლეხობას რომ ტყავს აძრობდა
და მოქონდა ამით თავი.
მეოთხე\უბნის კოლექტივს
მოევლინა თავმჯდომარედ
და ღიღინობს თავისუფლად:
„პროტექციას ვენაცვალე“.
კოლექტივის საქმე, ძმაო,
უკან მიდის რაც დრო გადის
და წაქაძე „მეხვეური“
ქუჩა ქუჩა ტყვილა დადის.
—რას დაეძებ, კოლექტივი
მეჯავრება როგორც ჭირი,
მხოლოდ მიტომ შევიძეღლე,
რომ დამადგა გასაჭირი!
ასე ბრძანებს გაქექილი
ძველის-ძველი მოურავი,
შოლტიანო, გადუჭირე
და ააძვრე ზურგზე ტყავი!

შოლტელი.




## „ტემპები"

ახალ - სოფლის საბჭომ გააწყობინა 15.000 ბლანკი მიწერ - მოწერისათვის. თვეში საჭიროა ამ ბლანკისაგან 15 ბლანკი, მაშასადამე, მას ეს ბლანკები ეყოფა 80 წელიწადს.

საბჭოს თავმჯდომარეს რომ ჰკითხეს, ამ ქაღალდის უზომოობაში რათ გინდოდა, რომ 80 წლის „ზაპასი" იქონიე ბლანკებისაო, მან უპასუხა:

— მიშობაც სწორეთ ის არის ოთხმოცი წლის გასაკეთებელი საქმე ერთ კვირაში გააკეთოო.

როდესაც ის ამისათვის პასუხისგებაში მისცეს, სასამართლოში თავს იმით მართლულობდა, რომ „ტემპებმა" დამღუპაო.

ისარი.

## წინადადება

### გვიმრიანის სასოფლო საბჭოს

გთხოვთ შეიტანოთ ლადო რაზმაძის პირადი დამსახურების საქმეში, რომ მან, როგორც საბჭოს წევრმა, სათესლე მასალის შეგროვების დროს სადღაც გადამალა 200 ფუთი ხორბალი, რომელიც ამ დღეებში აღმოაჩინა ბრიგადამ.

გთხოვთ მის დამსახურებაში შეიტანოთ ისიც, რომ მან თავისი მეოხებით და შუამდგომლობით გაანთავისუფლა გადასახადისაგან კულაკი სერგო ხანაძე.

ან.

## ესეც ნოქარია?!

(სცენა სოფ. ბუთლიეთის კოოპერატივში)

— ბოშო, სარდიონ ჩემო, არაა კაი, რეიზა იქცევი მასთე?! ნათქვამია: „მოყვარეს პირში უძრახე"-ო... მარა, ქე მიზვდები რაცხაზეც გიჩივი... აგი კოოპერატივის ქონება შენი რომ გგონია—ამ კოლმეურნე და ღარიბ გლეხობისათვის მოსულ საქონელს სურვილისამებრ, კოოპკომისიის დაუკითხავად რომ ანაწილებ, ნაცნობ-მეგობრებზე, მე ვუმფრო შენი არა ვარ? შენი მოგვარე, მეზობელი და... კი მიხვდი მგონია, ა?

— რა ვქნა, ბაბუა, ეპოს გამგეობამ დამავალა, რომე აგი საქონელი ამა და ამ კაცს მიეცი და, აგი იმასო... აბა, მე რაი ვუყო?—და ამ სიტყვებთან ერთად ნოქარმა ან თიძემ, ღიმილით ამოიღო დაზგის ქვეშიდან რაღაც შეხვევა და გაუწოდა მოსაუბრეს.

— იცი, სარდიონ ჩემო, კი ყოფილა იგი ვინცხა გამგეობის ეპოა კაი კაცი, კი სცოდნია ვინცხაა აქა ნე „პატივსაცემი პიროვნება"— კმაყოფილებით წამოიძახა მოხუცმა და თავის გზას გაუდგა.

აქაური.

## წმენდაზე მიმავალის ცხარა მცნება

### შრომის საბჭოს თავმჯდომარის საყურადღებოთ.

1. დაიხსომე, რომ ენა შენი — მეგობარია შენი.

2. საბოლოო სიტყვის დროს ნუ შეგრცხვება. თქვი რაც პირზე მოგადგეს და იმის შიში ნუ გექნება, რომ იქ შენს გულში ვინმე იხედება.

3. წარამარად ნუ გაიხსენებ შენი წინაპრების რევოლიუციონერობას და გახსოვდეს, რომ „თუ კაცი ფეოდალი არ არის — ცუდია გვარიშვილობა".

4. ეცადე თავის დროზე აუწიო და დაუწიო ხმას და თუ საჭიროა — სულაც გასჩუმდე, რადგან წმენდის შემთხვევა შენი ნაცნობი ვინმე დაესწროს.

5. როდესაც შენს ბიოგრაფიას უამბობდე, ნუ იტრაბახებ და გრძნობებს ნუ აჰყვები, ვაი თუ დაგავიწყდეს სად ხარ და შენი ცხოვრების სინამდვილიდანაც წამოგცდეს რამე.

6. წმენდაზე წასვლამდე არ დაგავიწყდეს და თან არ გაიყოლო ოქროს საათი, „პორტსიგარი" და ბრილიანტის ბეჭედი. ეს ყველა ამ ქვეყნიური ბედნიერება უნდა უარჰყო დროებით — წმენდიდან დაბრუნებამდე.

7. სამოქალაქო ომის დროს თუ შიშით სადმე იმალებოდი, არ დაიკვეხო, რომ ფრონტზე მუშაობის სტაჟი გაქვს.

8. რა ბრალდებაც არ უნდა წამოგიყენონ — უარყავ ყველაფერი.

9. დაბოლოს კიდევ გახსოვდეს, რომ ენა შენი — მეგობარია შენი: თუნდა დაგღუპავს, თუნდა აგაშენებს.

ვერ მიცანი.

## წინანდლის ფოსტაში

წინანდლის ფოსტის გამგეს
რა ენადვლება ნეტავ?
ზის და ქერში სთვლის ბუზებს
ხან კი „სემიჩკას" კენტავს.
გვერდით უწყვია ათას
ჟურნალ-გაზეთის გროვა.



ერთი შეუბღვრეს—გლეხი
თუ გაზეთისთვის მოვა: —
— გასწი, სადა მაქვს შენი
გაზეთის ძებნის თავი,
ამდენ ზვინებში ძებნა,
ხომ არ გგონია ფლავი!
ასე იძახის ბიჭი,
მაგრა იკეტავს კარებს.
წინანდლის ფოსტის სიქმეს
ნეტავ ვინ მოაგვარებს?!.

იხვი.

## წნორის სამკითხველოში

წნორის სამკითხველოში
გამგე ახვლედიანი,
ზის და ფიქრებს მისცემია
როგორც კაცი ჭკვიანი.
გაზეთები ქარს მიაქვს
და ვირთაგვებს წიგნები,




გლეხობა დაიქანცა
მისი კვალის მიგნებით.
კადლაგზედაც ვინ ფიქრობს,
წიგნები სად სწყრია?
არც პატრონი არც საბჭო,
აი ორი წელია.
არსაიდან იმედი,
ნათელი და მზიანი,
რისთვის იღებს ჯამაგირს
ნეტავ ახვლედიანი?!

ნიორი.

## მე ვარ და ჩემი ნაბადი...

1. კულაკი. გეიგე, სამსონ?

2. კულაკი. რაი?

1. კულაკი. რაი და, გლეხკომის თავმჯდომარე — ილარიონ ფაშკურიძე ჩვენი კაცი ყოფილა და ცილს კი ვწამებდით პარტიისა და ხელისუფლების მომხრეობაში!..

2. კულაკი. ჰა?!

1. კულაკი. ჰა კი არა, მაი პირი რომ დაგილია ლენჩივით, ვერ ხედავ რა ქნა? — რომ არ ეხმარება ღარიბ გლეხებს, ქვრივ-ობლებს და წითელარმიელთა ოჯახებს, და მხოლოდ ანარიცხების აკრეფაში ამოსდის სული გლეხკომს, აგი რაია, თუ არა ჩვენსკენ პირის მობრუნება?! მაი ხომ ჩვენ პარგამაში წერია და იგია!

2. კულაკი. აა, განა არა ქე გამიკვირდა იგი რაცხა პროფსკოლა რომ დაშალა თავის ნებით, საცა 55 გლეხი ქალი სწავლობდა, ყველაი გარედ გამოყარა, ა?! აპა რაი, ვაცხონე მამამისი! რად უნდა, ბოშო, ამ ჭოგნარის წილიან ძლაბებს სტავლა?!

ფაშკურიძე. (ამ დროს — გზად მიღიღინებს):

მე ვარ და ჩემი ნაბადი —
გამთენებელი ღამისა...
ვის რა უნდა იგი ჯლაბნოს—
შიში არა მაქვს ამისა!...

1. კულაკი. ეგერ არ მოღიღინებს?!

2. კულაკი. დოუძახე, ბარე ერთი სადმე გადავახუხვიოთ და იგია...

დაჰკა!

## მივიღეთ საქონელი

ტობანიერის თემის კოოპერატივმა მიიღო 400 წყვილი საუკეთესო ღირსების ფეხსაცმელი, რომლის განაწილებას უკვე შევუდექით. ფეხსამოსს ჯერხანად ვაძლევთ მხოლოდ ჩვენს პირად ნაცნობ - მეგობრებს და ახალ ნათესავებს, რომელთაც უფლება ეძლევათ შემდეგ, ეს საქონელი ორმაგ ფასში ღარიბ და საშუალო გლეხობას გადასცენ.

პატივისცემით კოოპერატივის გამგე.

(გვარი გაურკვეველია).

## უცნაური ბრალდება...

გაზეთ „კოლექტივიზაციაში" მოთავსებული იყო წერილი, რომელშიც გვბრალდებოდა ათას ექვსას მანეთის შეჭმა. ეს ბრალდება, რომ შეუსაბამოა იქიდანაც სჩანს, რომ ჯერ არსად გაგონილა კაცი ფულს სჭამდეს (გინდ ქაღალდის იყოს, გინდ ვერცხლის). რაც შეეხება გაფლანგვას ესაც შეუსაბამობაა, რადგან სად გაგონილა ღვინის გაფლანგვა? ღვინოს, მართალია, ვსვამდით, ამავე დროს ვჭამდით ბატკნის და სუკის წვადებს, მაგრამ ჩვენს სასადილოში თუ სხვა იქეიფებდა, ჩვენ მით უმეტეს გვქონდა ამის უფლება...

სოფ. ზეიდნრის ეპოს სასადილოს გამგეობა.

## გლეხკორის გასამართლება

სოთელ წრომში კულაკ ნიკა რიჩვიაშვილის სახლში მოხდა გლეხკორ ივანე გელდიაშვილის საჯარო გასამართლება. გელდიაშვილს ბრალდება საბჭოს თავმჯდომარის, სასადილოს გამგის, გლეხკომის მდივნის და სხვა „პატიოსანი" ხალხის კედლის გაზეთში გაწერა. გასამართლებას შეუძლია [illegible] გამფლანგველი, კულაკების მფარველი, ლოთი, ზარმაცი და ის, ვინც შენიშნულია გადახრებში.

სასამართლო შემადგენლობა, თავმჯდომარე—გლეხკორის წერილებით გაკრიტიკებული, პარტიიდან გამორიცხული და გლეხკომიდან განდევნილი—ხუთისი ხარაშვილი, სასამართლოს წევრები—ყოფილი მამასახლისი ივანე რობაქიძე და ნასტრაჟნიკალი—თოსებ ხვთისავარიშვილი.

საზოგადოთ ბრალმდებელია ნაბოლოჩინარი და ღვინის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე—გიორგი როსტიაშვილი.

აღშფოთებულმა კულაკობამ მოითხოვა გლეხკორის უმკაცრესი სასჯელით დასჯა.

ტიტიკო.

# გაფანგში გაება

სოფელ აბმეტაში ხმები გავრცელებული, ვითომ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იორდანე აბრამიშვილი კულაკებს მფარველობდეს და ყოველ ნაბიჯზე არღვევდეს პარტიის გენერალურ ხაზს.

ამის შესახებ „შოლტი"-ს წარმომადგენელი შეხვდა თვით იორდანე აბრამიშვილს, რომლის სტენოგრაფიულ (სიტყვა-სიტყვით) ანგარიშს ვათავსებთ ქვევით:

— იყო თუ არა შემთხვევა, რომ თქვენ ოდესმე დაგერღვიოთ პარტიის გენერალური ხაზი?

— არა, არასოდეს—ეს არც მოხდება, რადგან მე თავიდანვე ვებრძოდი ყოველგვარ გადახრებს.

— ყოფილა როდისმე შემთხვევა, რომ თქვენ კულაკებს გამოსარჩლებოდით და კულაკების ინტერესები დაგეცვათ?

— არა, არასოდეს არ ყოფილა.

— თქვენ გაილაშქრეთ თუ არა როდისმე კულაკების სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის წინააღმდეგ?

— ეს კი მართალია, რადგან კულაკებიც ხომ ღვთისაგან გაჩენილები არიან და ვაკმაროთ ის, რაც მათ უკვე სიმწუხრე მიაყენეთ.

— თქვენ იმის წინააღმდეგი ხომ არ იყავით, რომ სესხი „5 წლედი —4 წელში" კულაკებს შორის გავრცელებულიყო?

— ესეც მართალია. რა ვქნა, ჩვენს სოფელში სულ 5—6 კულაკია და ყველა ჩემს მეზობლად სცხოვრობს, მეზობლის წყენა კი, მოგეხსენებათ, კარგი არ არის... ხან რა დამჭირდება ხოლმე, ხან რა და ყოველთვის მათგან ვიმართები...

— ეს არის, ამხანაგო, მემარჯვენე გადახრა პრაქტიკაში და თქვენ მაგისათვის პარტიიდან გარიცხავენ...

— მაგრამ მხედველობაში მიიღეთ, ამხანაგო, ის მდგომარეობა რომ ეს კულაკები, ჩემის მხრივ დაბეგრილები მყავს და სულ ფორთომში, ახლაც ამ წლის ერთ-ერთ მათგანს შევუთვალე, რომ კარგი ღვინო გამიზიაროს და ამაღამ კარგად ვქეიფობთ.

ჟღრულა.

# ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია



**მდივანი.** როგორ ერთბაშად შეიცვალა ამინდი, თოვლი მოდის.

**ბამბე.** უთხარი რომ არ მცალია, ხვალ შემოვიდეს.

# უშველეთ

სოფელ ქსოვრისის კოლექტივს კულაკები უპირებენ შეჭმას: დაუწვეს 5 ურემი თივა, მოჰპარეს გუთნები, მოსავალი და სხვა.

ბევრჯერ დაიჭირეს დამნაშავენი, მაგრამ ვილაცის წყალობით ისევ მალე გაანთავისუფლეს.

ეს ამბავი ძალიან უკვირთ კოლექტივის წევრებს, მაგრამ აქ საკვირველი არაფერია და ისინი ვერც გადურჩებიან კულაკებს, სანამ იმ „ვილაცას", რომელიც სასოფლო საბჭოშია მოკალათებული, კულაკებს არ მიაყოლებენ.

ვინ არის ეს „ვილაცა" — ამის გამოცნობა ადვილია, საჭიროა მხოლოდ ღამე დაუყარაულდე ერთ-ერთ კულაკს და ის როცა ინდაურით და წითელი ღვინით დატვირთული გამოვა, თვალყური ადევნო ვისთან მივა და ვის მიუტანს.

სწორედ ეს იქნება ის „ვილაცა", რომელიც ქსოვრისის კოლექტივს აღუპვინებს კულაკებს.

# მოსათოკე

აფთიაქის გამგეთა ჯგუფს
ვანო ცაგარეიშვილი,
ლანძღვასა და გინებაში
„სპეცი" გახლავთ გამოცდილი

— :—

არშიყობას ნუღარ იტყვით,
მისგან არის მოგონილი,
თავის „გმირულ" მუშაობით
სოფლად შეაქვს დიდი წვლილი.

— :—

ამას წინად ჩვენ სოფელ გლეხს,
გვარად ძმათ გურგუჩიანს,
წამალი არ გაატანა,
სთქვა:რას ვეძებ მე ჯან მტკივანს!

— :—

დრო არა მაგქვს გაჭელალვ,
თორემ მოვა სილა ყბაში,
გაჩნდა ძმათ კოჩრათბა,
გამოაგდო გლეხი კარში.

— :—

ასეთ ფაქტებს ვინ ჩამოთვლის,
მას ბევრი აქვს ჩადენილი,
გეხვეწებით შოლტიანო,
რომ აუწვა შოლტით ცხვირი!

პალიკო.

# ღია ბარათი

## უშაფათის არტელს

სალამი ჩემს ძმას შეროზიას!

თქვენი არტელისთვის შენის თაოსნობით დიდებული სახელი გამოგინახავს: „სოციალიზმი"! ეს ხომ ჩვენი საბოლოო მიზანია, შენ კი ერთი ხელის მოსმით დაამყარე ის შენს არტელში და საქვეყნო სასახელო კაცი გახდი.

მე მხოლოდ ის არ მომდის ჭკუაში, რომ სრულებით არაფერს კითხავ არტელის წევრებს. მართალია, გამგეობის თავმჯდომარე ხარ, მაგრამ გამგეობაში ხომ შენს გარდა კიდევ შენი ღვიძლი ძმაა, მერე შენი ბიძაშვილი და უახლოესი ნათესავი ს. ღვინჯილია. რისი გეშინია შე კაცო, ეს ხალხი ხომ მაინც არ გიღალატებს!

მით უმეტეს, მათ ერთხელ უკვე დაგიმტკიცეს თავის ერთგულება შეკერილ საქონლის განაწილების დროს. შინაურებს შეახვედრე ... მანეთის საქონელი. გარეშეებს კი მხოლოდ ცხრა-ცხრა მანეთის. თუმცა, მაპატიე და—ეს სადაური სულმოკლეობაა, ასეთ წვრიმალს ყურადღებას მაინც არ უნდა აქცევდეს კაცი, მერე ისიც „სოციალიზმში".

ახლილად გითხრა, არც ის მომწონს მოსავალი სულის და მიხედვით გაანაწილე და გაწეული შრომის ხარისხი და რაოდენობა ანგარიშში არ ჩახველი...

ამ ცოტა ხნის წინედ, თქვენს ახლობლად ვიყავი. არტელის მიდამოებიდან რაღაც ხმაური მომესმა. შემდეგ გავიგე, თურმე ცუდი ხასიათი გქონია სიმთვრალეში, არტელის ერთ წევრს გამოკიდებოდი...

შენი მოსაზრება ანგარიშწარმოების შესახებ—თუმცა მისაღებია, მაგრამ ცოტაოდენი თავის შეწუხება მაინც აუცილებელია.

ეთქვათ, სენაკის რაიკომმა ამ ამბებს ყურადღება მიაქცია და თქვენ სხვა გამგეობით შეგცვალათ,—ხომ უნდა ჩააბაროთ მათ მთელი ანგარიში. მართალია თქვენს „კეთილსინდისიერებაში" ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ ცალიერ სიტყვას რომ არ დაუჯერონ, მაშინ?!

ქალი.

# ღვდლების გოდება

(ოპერეტა)

— გამარჯობა ნიკოლა!
— გაგიმარჯოს ტერენტი!
ასე ქე რამ გაგახმო?
აღარ ხარ ძვლების მეტი?
— ეჰ, ნიკო, რომ იცოდე
ჩემი ოხვრა—ტრიალი!
აღარ მომდის ტაბლა და
საკურთხები ტიალი.
მა, რა დამემართება?!
გავხმი როგორც ტარანი,
ვახ! სად არის ძველი დრო
და გლეხების მარანი?!
ახლა ნიკო! სხვა დროა
ჩამოგვაჭკნა ლიპები,
წყეულ კონსომოლებსა
ვერ უძლებ, გეფიცები.

— : —

**ნიკო:**

— ჩემი საქმე, ტერენტი,
სულ უკუღმა წავიდა,
„ხრიკს“ ვაწყობდი, მაგრამ მან
არ გასჭრა, არ გავიდა.
ხურდა ფულს ვაგროვებდი,
ხელის შეშლა მინდოდა;
ველოდი, რომ ამ დღეში
„ნოე“ ჩამოვიდოდა.
გამიგეს და ჩამაგდეს
ვირის აბანოშია,
მაგას რაღა თქმა უნდა,
რომ ვართ გლახა დროშია.
ახლოს არვინ გვიკარებს,
საბჭოს არჩევნებია,
პირზე კლიტე დამადეს
დამილუქეს ხმებია!

**ტერენტი:**

ჰოდა რაღა მოგვივა,
ჩამოგვაჭკნა ყბებია,
ჰოი! ღმერთო, დასწყევლე,
რა ცუდი ამბებია.

**ორივე** (მღერიან)

ჩვენი საქმე ავად სდგას,
ავად შენი მტერია,
ისევ ის სჯობს ორივემ
გავიკრიჭოთ წვერია.

მედგარიძე.

# ვინ იყო?

სოფელ ცხემლიანში ერთ-ერთ სახლს ცეცხლი წაეკიდა.

— არიქათ, უშველეთ, იწვება! წყალი, წყალი!—ყვიროდა ყველა და ყველა გარბოდა ცეცხლის ჩასაქრობად.

ამ დროს ვიღაცამ დაიძახა:

— სად მირბიხართ, უკან დაბრუნდით, ვერა ხედავთ, რომ ეს კერძო გლეხის სახლია?!

მას ყურადღება არავინ მიაქცია, ყველა საშველად გარბოდა.

— გადაყარეთ ეგ ვედრები, სად გარბიხართ, კერძო გლეხის სახლი იწვება და მისი ჩაქრობა ჩვენი მოვალეობა არ არის!

— ცეცხლი მალე კოლმეურნეების სახლებამდეც მიაღწევს... უპასუხეს და ერთსულოვანი მუშაობით ცეცხლი მართლაც მალე ჩააქრეს.

ვინ იყო ის, რომელიც სიბნელეში ჰოტივით გაჰკიოდა—არ ჩააქროთ, ეგ კერძო გლეხის სახლიაო?

ის გახლდათ ამავე სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იაკობ მეძმარიაშვილი.

# „ურწმუნოები“

თიანეთის რაიონში ხშირი შემთხვევაა—პარტიის და კომკავშირის წევრების ეკლესიებში და ნათლობა-ქორწილებში სიარული.

გლეხკორის წერილიდან



— რატომ ეკლესიაში არ ნათლავთ ბავშვს?
— როგორ შეიძლება, მამა პარტიულია — ღმერთი არ ა ხწამს!

# ჩვენი ფოსტა

**მახარებ.** თქვენ იწერებით: „ველისციხელ მეწისქვილეებს სასტიკად უყვართ ინდაურები და ქათმებიო“ და გვავალებთ ამის გამო, მარჯვედ მოვცხოთ მათ შოლტი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან უსამართლო ყოფილხართ. ერთი ეს გვითხარით, რომელი გიჟი იტყვის უარს შებრაწულ ინდაურზე და ქათამზე?! ამიტომ ნურას უკაცრავად თუ თხოვნას ვერ გისრულებთ და წერილს გოდორში ვაგზავნით.

**იმავე მახარებს.** ველისციხიდან ჩვენ უკვე ოთხი ცნობა მივიღეთ. თურმე მანდაური ზედაშე ისე ერთნაირად განუკითხავად გლეჯს მტკივანსა თუ ჯანსაღ კბილებს. თქვენ ოქვაშინებული, უ... არ იყო ამის შესახებ მოგვწერეთ?!

და მაინც და მაინც თუ თქვენი მეწისქვილეების ჯავრი გჭირთ, რომელთაც ნამეტანი უყვარდებათ ინდაურების და ქათმების ჭამა, აიღეთ და ეს მეწისქვილეები გადაგზავნეთ თქვენს ზედაშე იქიმს. უებარი წამალია: რამდენიმე დღეში ყველას დააძრობს კბილებს და ამნაირად გადაჩვევს ქათამ-ინდაურების ჭამას.

**ლვინჩილას.** თავი გაანებეთ მაგ თქვენი კოოპერატივის ნოქარს, თორემ რაკი ერთხელ გაზეთში გა... რის შემდეგ ...რო დააწინაურეს! „შოლტში—გაწერის შემდეგ იქნებ კიდევ უფრო დააწინაურონ და მერე თქვენი კოოპერატივი სამუდამოდ თ...-ნს პირს წაიღებს.

**წიწაკას.** თქვენი ლექსი ასე იწყება:

გამოცანას მოგახსენებთ
ბევრი არაფერია,
ვერ გაიგებთ თავში რაა,
ბოლოში რა ხწერია და სხვა...

მართლაც თქვენი გამოცანობა ვერც თავი გავიგეთ, ვერც ბოლო და ერთ ადგილას ვიძახეთ. ეხლა თქვენ გამოიცანით—სად

# გასინჯვა

— ჩოხატაურში გაჩშირდა
კულაკების თარეში...
არავის აქვს მოსვენება
მათგან ამ ჩვენს მხარეში!..
კოლექტივს გადაუწვეს
სამი წისქვილი მათა...
არვინ არის, შეუმოკლოს
ასეთ თავხედებს მადა!..
—დილომში ხულიგანებს
დღე-ღამ გააქვთ ღრიალი,
არის ჩხუბი, გინება—
კეტ-ხანჯლების ტრიალი!..
დადიან ხალხს ხოცავენ,
ღვინით განახელები...
პატრონი არვინ არი—
შეუმოკლონ ხელები!..
— ზემო-მაჩხაანის არტელს
დავთრები არევია...
რომ ის ბოსტოღანაშვილს
ვერაფრით მორევია?!
მან ტრაქტორი დალეწა,
როს დაავგახა ურემს...
პასუხს კი არავინ სთხოვს.
ვინც საქმეს ასე ურევს!..
— სენაკის ეპოს გამგედ
არის ბაგრატ ჩემია...
და იძახის: „საქონელი
რაც აქ არის—ჩემია“!
როგორც სურს ისე ყიდის,
ბუღით მას დარჩენია...
გეხვეწებით, მოგვაშორეთ,
თავიდან ეს სენია!..
— საქმე კარგად არ არის,
ვგონებ, სოფელ წევაში..
ვერაფრით დაიცვეხის
რაიმე მიღწევაში!..
„კოლექტივიზაციის დღე“
ვერ ჩაატარა მანა...
მორაპენიც ყურს არ ათხოვს,
ხელები დაიბანა!..
— სოფ. ჭოლევის არტელი,
შეხეთ, რას გავს, ძამია!
მის დაშლას ლამობს „წერი“
ბესიკო ძაძამია!..
მას მხარს აძლევს მელიტონ—
ტორჩინავა გვარადა...
რასაც ვამბობ სწორეა,
არ გეგონოთ შარადა.

ტარზან.

ამხ. შოლტკორებო,

მოგვაწოდეთ საგზოთა დაწესებულებებში შეპარულ სხვადასხვა გოროტმოქმედების, ბიუროკრატიზმის და სხვა ფოტოგრაფიული სურათები. სურათები უკან აღარ დაგიბრუნდებათ, სამაგიეროთ მიიღებთ ჰონორარს.

„შოლტი“.

# კულაკის ოცნება საბჭოების არჩევნების წინ

